



პროფესიული სასწავლებლით სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების აგრარული დუალური პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა

კვლევის ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის

პროექტი: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

მარტი, 2020

თბილისი, საქართველო

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გაეროს განვითარების პროგრამისათვის მომზადებულ პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიშს, რომელიც შემუშავდა პროექტის “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება” ფარგლებში. ანგარიში მომზადებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული კვლევის ინსტრუმენტის საფუძველზე.

ანგარიშში მოცემულია კვლევის მონაცემები ცხრილებისა და გრაფიკების სახით. ცხრილებსა და გრაფიკებს ერთვის მონაცემთა ტექსტური ანალიზი.

სარჩევი

1.შესავალი	4
2.მეთოდოლოგია.....	4
3. კვლევის შედეგები	5
3.1 პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის შეფასება	5
3.2 პროფესიული მასწავლებლების შეფასება	8
3.3 პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება	10
3.4 კოლეჯის ბაზაზე პრაქტიკული მეცადინეობის შეფასება	14
3.5 დამსაქმებელთან ურთიერთობა და საწარმოო პრაქტიკის შეფასება	16
3.6 პროფესიული სასწავლებლის ინფრასტრუქტურის შეფასება	18
3.7 პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულებები	20
3.8 საინფორმაციო წყაროები.....	23
3.9 არსებული გამოწვევები და რეკომენდაციები.....	30
3.9.1 ძირითადი პრობლემები და ხარვეზები პროფესიულ სასწავლებლებში.....	30
3.9.2 სასურველი ცვლილებები	31
3.9.3 დამატებითი აქტივობები	31

1.შესავალი

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 2016 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში ახორციელებს პროექტს „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ახალი მოდელის - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

2.მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა აგრარულ პროფესიულ განათლებაში.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს ისეთი საკითხების შესწავლა წარმოადგენს, როგორცაა:

- პროფესიული პროგრამებით კმაყოფილების შესწავლა;
- სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული მასწავლებლებით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული პროგრამის ფარგლებში სამუშაო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;
- დამსაქმებელთან ურთიერთობით და სამუშაო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული სასწავლებლის ინფრატრუქტურით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულებების შესწავლა;
- პროფესიული განათლების შესახებ საინფორმაციო წყაროების შესწავლა.

კვლევა ეფუძნება სტანდარტიზებულ კითხვარს, რომელიც ადმინისტრირებულია სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით. კვლევის მოცემული ეტაპი ჩატარდა 2020 წლის თებერვალში და გამოიკითხა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები. რესპონდენტთა რაოდენობა შეადგენდა 196 პროფესიულ სტუდენტს, რომელთა შერჩევა მოხდა 8 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მონაცემთა ბაზიდან. სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში დაკავშირება მოხდა მხოლოდ 96 კურსდამთავრებულთან, რადგან დანარჩენი 100 კურსდამთავრებულის შემთხვევაში, მიუხედავად კვლევის პროცესში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური ჩართულობისა, სწორი საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, გამოიკითხა 96 სტუდენტი.

3. კვლევის შედეგები

3.1 პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის შეფასება

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო სტუდენტების დამოკიდებულებები პროფესიულ სასწავლებლებში არსებული სასწავლო პროგრამებისა და სწავლის პროცესის მიმართ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები კმაყოფილები არიან მათ სასწავლებლებში არსებული პროგრამებითა და, ზოგადად, სწავლის პროცესით.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, გამოკითხული ყველა სტუდენტი მიიჩნევს, რომ მათი სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილია და პროგრამაში შემავალი მოდულები მათ პროფესიას შეესაბამება (100%¹ და 98%). კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები კარგად არის განაწილებული პროგრამაში (97%).

კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილის მიერ პოზიტიურად ფასდება სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდების ეფექტურობა (94%). სტუდენტების 96% თვლის, რომ სასწავლო პროცესი ინტერაქტიულია და ლექციაზე ხდება მოსაზრებების გაცვლა და აქტიური კომუნიკაცია მასწავლებლებსა და სტუდენტების შორის. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი


¹ შენიშვნა: ანალიზში დადებით პასუხში დაჯამებულია პასუხები „სრულიად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“. უარყოფით პასუხში დაჯამებულია პასუხები „სრულიად არ ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“.

ცოდნის შეფასება სამართლიანად ხდება (99%) და ის რასაც სწავლობენ გამოადგებათ პრაქტიკაში (98%).

სტუდენტების დიდი ნაწილი პოზიტიურად აფასებს **სასწავლო მასალების** ხელმისაწვდომობას და მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების უმრავლესობისთვის სასწავლო მასალა მათთვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომია (98%).

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამისა და სწავლის პროცესის სხვადასხვა მახასიათებლებიდან, შედარებით ნაკლებ კმაყოფილებას იწვევს **გაცვლითი პროგრამების და სტუდენტური ღონისძიებების ინტენსივობა** - როგორც ირკვევა, სტუდენტების თითქმის ნახევარი 40% გაცვლითი პროგრამების არარსებობას უჩივის, ხოლო 25% კი მიიჩნევს, რომ წლის მანძილზე არ ხდება საკმარისი რაოდენობის სტუდენტური ღონისძიებების ჩატარება. (იხ. გრაფიკი 1)

გრაფიკი 1. პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის შეფასება (N=96)



3.2 პროფესიული მასწავლებლების შეფასება


კვლევის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლების სტუდენტებმა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით შეაფასეს მათი მასწავლებლები.

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები პროფესიულ მასწავლებლებს სხვადასხვა კრიტერიუმებში უმაღლეს შეფასებებს უწერენ. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ მასწავლებლებს აქვთ მაღალი დონის როგორც პროფესიული (96%), ასევე პრაქტიკული გამოცდილება (98%). აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ქულებით ფასდება მასწავლებლების სტუდენტებთან კომუნიკაციის უნარი და კეთილგანწყობის მაჩვენებელი (99%).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა თავიანთი ცოდნის შეფასებას სამართლიანად მიიჩნევდა, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ სტუდენტების 99% ეთანხმება იმ აზრსაც, რომ მასწავლებლები მიუკერძოებლები არიან და მათთვის ყველა სტუდენტი თანაბარია.

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, სტუდენტთა 99% თავიანთ მასწავლებლებს გაწონასწორებულად მიიჩნევს. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვა პარამეტრებთან ერთად, მაღალი ქულებით ფასდება უცხო ენის პედაგოგების პროფესიონალიზმი - კვლევის მონაცემებით 99% ეთანხმება იმ აზრს, რომ უცხო ენას პროფესიონალი მასწავლებლები ასწავლიან. (იხ. გრაფიკი 2)

გრაფიკი 2. პროფესიული მასწავლებლების შეფასება (N=96)




3.3 პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება

კვლევის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს სასწავლებლის ადმინისტრაციის საქმიანობა სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

კვლევის მონაცემებით, ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასებებში ყველაზე მაღალი ქულებით ფასდება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კეთილგანწყობა - სტუდენტების 99% მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები და დამხმარე პერსონალი კეთილგანწყობილნი არიან მათ მიმართ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პარამეტრთან შედარებით, უფრო ნაკლები ქულით ფასდება ადმინისტრაციული პერსონალის ზრუნვა სტუდენტური ღონისძიებების (სტუდენტური დღეები, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრები) ორგანიზებაზე. კვლევის მონაცემებით, სტუდენტების 11% ფიქრობს, რომ ადმინისტრაციული პერსონალი არ ზრუნავს სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზებაზე.


კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიულ სასწავლებლებში არ არის ბოუროკრატია და ყველა ადმინისტრაციული პროცესი გამართულია. კვლევის მონაცემებით, გამოკითხულ სტუდენტთა 96% მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი კარგად ორგანიზებულია. ისინი არ საჭიროებენ ზედმეტი საბუთების ადმინისტრაციაში წარდგენას (99%) და ადმინისტრაციული საკითხების მოსაგვარებლად ბევრ თანამშრომელთან ურთიერთობას (97%). *(იხ. გრაფიკი 3)*

გრაფიკი 3. პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციის შეფასება (N=96)




კვლევის მონაცემებით, სტუდენტების 89% აცხადებს, რომ მათ სასწავლებლებში იმართება შეხვედრები ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის, სადაც მათ საშუალება აქვთ გაუზიარონ ადმინისტრაციას პრობლემები/სურვილები. ხოლო სტუდენტების 8% (8 სტუდენტი) აღნიშნავს, რომ მსგავსი შეხვედრები მათ სასწავლებლებში არ იმართება. (იხ. გრაფიკი 4)

გრაფიკი 4. ადმინისტრაციასთან შეხვედრები (N=96)




რაც შეეხება სტუდენტების შეხვედრაზე დასწრებას, მათ შორის, ვისაც სმენია მსგავსი შეხვედრების შესახებ, 85 სტუდენტიდან 73% დასწრებია მსგავსი ტიპის შეხვედრებს (იხ. გრაფიკი 5).

გრაფიკი 5. ადმინისტრაციასთან შეხვედრებზე დასწრება (N=85)



ამავე დროს, გამოკითხულ სტუდენტთა 45% აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია ყოველთვის ითვალისწინებს მათ სურვილებს, ასევე სტუდენტების 40% აცხადებს, რომ ხშირ შემთხვევაში ხდება მათი სურვილების გათვალისწინება. პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების მხოლოდ 15% აღნიშნავს, რომ მსგავს შეხვედრებზე 'უფრო ხშირად' ან 'არასდროს' არ ხდება მათი პრობლემების მოგვარება (იხ. გრაფიკი 6).


გრაფიკი 6. ადმინისტრაციასთან შეხვედრებზე სტუდენტების სურვილების გათვალისწინება (N=96)




კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული შეხვედრებისა, არსებობს ადმინისტრაციასთან პრობლემების და სურვილების გაზიარების სხვა გზებიც (55%). ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული საშუალებებია: პირადი მიმართვა (38%); წერილობითი მიმართვა (36%) და პრობლემის მოგვარება ტელეფონით (15%).

(იხ. გრაფიკი 8)

გრაფიკი 7. ადმინისტრაციასთან შეხვედრების საშუალებების გზების არსებობა (N=96)




გრაფიკი 8. ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის საშუალებები (N=53)



3.4 კოლეჯის ბაზაზე პრაქტიკული მეცადინეობის შეფასება

კვლევის ერთ-ერთ საკვლევ საკითხს წარმოადგენდა იმის გარკვევა, ითვალისწინებს თუ არა პროფესიული სასწავლებლების კონკრეტული პროფესიული პროგრამები კოლეჯის ბაზაზე სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას. კვლევის მონაცემებით, სტუდენტების 45% აღნიშნავს, რომ მათს სასწავლებელში ხდება პრაქტიკული მეცადინეობების ორგანიზება. (იხ. გრაფიკი 9)

გრაფიკი 9. პრაქტიკული მეცადინეობების ხელმისაწვდომობა კოლეჯის ტერიტორიაზე (N=96)




მონაცემების რეგიონალურ ჭრილში ანალიზისას ჩანს, რომ პრაქტიკული მეცადინეობები ყველაზე მეტად ხელმისაწვდომია სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოსა და მცხეთა-მთიანეთის კოლეჯების სტუდენტებისათვის.

კვლევის ფარგლებში, სტუდენტებმა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით შეაფასეს სასწავლო პროგრამების პრაქტიკული მეცადინეობები კოლეჯის ტერიტორიაზე.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები მეტწილად კმაყოფილები არიან პრაქტიკული მეცადინეობებით. კვლევის მონაცემებით, სტუდენტები ყველაზე მეტად კმაყოფილები არიან პრაქტიკული მეცადინეობების დროს მასწავლებლის მიერ გაწეული სწორი ზედამხედველობით (100%), პრაქტიკისთვის საჭირო იარაღების/მასალის/აღჭურვილობის ხელმისაწვდომობით თითოეული სტუდენტისთვის (98%) და პრაქტიკის სიხშირით (96%). ხოლო გამოკითხულთა 93% კმაყოფილია მეცადინეობების შედეგად მიღებული უნარ-ჩვევებით. (იხ. გრაფიკი 10)


გრაფიკი 10. პროფესიული პრაქტიკული სამუშაოების შეფასება (N=96)



3.5 დამსაქმებელთან ურთიერთობა და საწარმოო პრაქტიკის შეფასება

კვლევის მონაცემებით, პროფესიული სტუდენტების 94% აცხადებს, რომ მათი კოლეჯების პრაქტიკის/სამუშაო კომპონენტის განმახორციელებელ კომპანიებთან სწორედ იმ სფეროებში მოღვაწეობენ, რომლებიც ისწავლება მათ სასწავლებლებში. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების 83%-ს აქვს სურვილი სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდეს პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ დასაქმების შანსებს რეალურად სტუდენტების 85% მიიჩნევს. კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ტიპის ორგანიზაციებში დასაქმება პრესტიჟულია - აღნიშნულ დებულებას გამოკითხული სტუდენტების 94% ეთანხმება. (იხ გრაფიკი 11)

გრაფიკი 11. სამუშაო კომპონენტის განმახორციელებელი კომპანიების მიმართ დამოკიდებულებები (N=73)




3.5.1. კომპანიაში მიმდინარე სამუშაო კომპონენტის შეფასება

გამოკითხულმა სტუდენტებმა შეაფასეს სამუშაო კომპონენტით კმაყოფილება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

კვლევის მონაცემებით, ირკვევა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი (99%) კმაყოფილია, როგორც ინსტრუქტორით კომპანიის მხრიდან, ასევე, უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელით სასწავლებლის მხრიდან (98%).


გამოკითხული სტუდენტების 97% კმაყოფილია იმ ორგანიზაციით, სადაც დაიგროვა სწავლის პარალელურად სამუშაო გამოცდილება. უშუალოდ საწარმოს ადგილმდებარეობით კმაყოფილი სტუდენტების წილი 94%-ს შეადგენს. სტუდენტების თითქმის იგივე რაოდენობა ასევე კმაყოფილია სამუშაო კომპონენტის ხანგრძლივობით (86%) და მუშაობის შედეგად მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევებით (98%). (იხ. გრაფიკი 12)

გრაფიკი 12. სამუშაო კომპონენტით კმაყოფილება (N=96)



რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას კერძო სექტორის სამუშაო პროცესში, კვლევის მონაცემებით, სტუდენტების 67% აცხადებს, რომ თეორიული ცოდნა გამოადგათ კომპანიაში მუშაობისას. ხოლო მცირე ნაწილი (4%) მიიჩნევს, რომ თეორიული ცოდნა არ გამოადგათ კომპანიაში მუშაობის პროცესში. (იხ. გრაფიკი 13)

გრაფიკი 13. თეორიული ცოდნის გამოყენება კომპანიის ბაზაზე სამუშაო პროცესში (N=96)




3.6 პროფესიული სასწავლებლის ინფრასტრუქტურის შეფასება

კვლევის ფარგლებში პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებმა შეაფასეს თავიანთი სასწავლებლების ინფრასტრუქტურა სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში, პროფესიული სტუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი კმაყოფილებას გამოთქვამს სასწავლებლის ინფრასტრუქტურით. როგორც ირკვევა, სტუდენტების ყველაზე დიდი ნაწილის კმაყოფილებას **სასწავლებლების აუდიტორიები** იწვევს. კვლევის მონაცემებით, ყველა სტუდენტი კმაყოფილია აუდიტორიების განათებით (100%) და აუდიტორიების სისუფთავით (100%).

აუდიტორიის ავეჯით/ინვენტარით უზრუნველყოფითა და შენობის კეთილმოწყობით კმაყოფილების წილიც მაღალია და 99%-ს უტოლდება. სტუდენტების 98% გამოთქვამს კმაყოფილებას აუდიტორიების ზომასა და სანიტარული კვანძის გამართულობაზე. აუდიტორიებში არსებული ტემპერატურა მისაღებია სტუდენტების 97%-ისთვის. სხვა პარამეტრებთან შედარებით, კმაყოფილების უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს სასწავლებლის ადგილმდებარეობას (93%). (იხ. გრაფიკი 14)

გრაფიკი 14. პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურით კმაყოფილება (N=96)



3.7 პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულებები

კვლევის ფარგლებში შეფასდა სტუდენტების დამოკიდებულებები პროფესიული განათლების სისტემის მიმართ.


კვლევის შედეგებით, სტუდენტების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა ხელმისაწვდომია (99%), პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვისას რეგისტრაციის პროცესი მარტივია (98%), პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმების მაღალი შანსები აქვთ (98%), პროფესიების არჩევანი მრავალფეროვანია (98%), სწავლების დონე მაღალია (94%) და საბოლოო ჯამში პროფესიული განათლების სისტემა პროფესიონალებს ამზადებს (94%). რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებელში სწავლის სიმარტივეს, აღნიშნულ მოსაზრებას გამოკითხულთა 94% იზიარებს.

გამოკითხული სტუდენტების 98%-სთვის პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების პროცესი (გასაუბრება დამსაქმებელთან) მისაღებია და ასევე თვლიან, რომ პროფესიულ სასწავლებლებს აქვთ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული სასწავლებლები სტუდენტებს პრესტიჟულად მიაჩნიათ. კვლევის მონაცემებით, ამ დებულებას სტუდენტების 95% ეთანხმება. აქვე აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლა პერსპექტიულია მომავალი დასაქმების თვალსაზრისით. აღნიშნულ დებულებას სტუდენტების მხოლოდ 83% ეთანხმება.

(იხ. გრაფიკი 15)


გრაფიკი 16. პროფესიული სასწავლებლების მიმართ დამოკიდებულებები (N=96)



კვლევის ფარგლებში სტუდენტებმა შეაფასეს თავიანთი პროფესიული სასწავლებლებით და მათ მიერ არჩეული პროფესიებით კმაყოფილება.


კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილია როგორც პროფესიული სასწავლებლით (89%), ასევე იმ პროფესიით, რომელსაც ეუფლება (93%). (იხ. გრაფიკი 16)

გრაფიკი 16. პროფესიული სასწავლებლებით და არჩეული პროფესიით კმაყოფილება (N=96)



პროფესიული სასწავლებლებით და უშუალოდ პროფესიით მაღალი კმაყოფილების პირობებში, ბუნებრივია, რომ სამიზნე სეგმენტში ასევე მაღალია პროფესიული სასწავლებლების ახლობლებისთვის და მეგობრებისთვის რეკომენდაციის გაწევის მაჩვენებელი. კვლევის მონაცემებით, სტუდენტების 95% ურჩევდა თავის ახლობლებს პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებას. (იხ. გრაფიკი 17)

გრაფიკი 17. პროფესიული სასწავლებლებისთვის რეკომენდაციის გაწევა (N=96)



3.8 საინფორმაციო წყაროები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული განათლების კუთხით განხორციელებული სხვადასხვა პროექტების ცნობადობის დონე 57%- 68%-ის ფარგლებში მერყეობს.


კვლევის მონაცემებით, **კონფერენციისა და სამუშაო შეხვედრების** შესახებ სტუდენტების ნახევარზე მეტს სმენია (შესაბამისად 64%, 68%). ხოლო **პროფესიული უნარების კონკურსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ორგანიზებული ღონისძიებების** შესახებ ინფორმაციას სტუდენტების შესაბამისად 59% და 57% ფლობს.

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ არც ისე მაღალია აღნიშნულ პროექტებზე დასწრების მაჩვენებლები. **პროფესიული უნარების კონკურსს** სტუდენტების 18% დასწრებია. **საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ორგანიზებულ ღონისძიებებზე** დასწრების მაჩვენებელი 29%-ს შეადგენს, ხოლო კონფერენციაზე - 27%.

შედარებით უფრო მაღალი ცნობადობით ხასიათდება **სამუშაო შეხვედრები**, რომელზეც დასწრების მაჩვენებლებია (45%).


(იხ. გრაფიკი 18)

გრაფიკი 18. პროფესიული განათლების ცნობადობა და ღონისძიებებზე დასწრება (N=96)




კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ გამოკითხული სტუდენტების ნახევარზე მეტს (59%) სმენია საინფორმაციო ცენტრის/რესურს-ცენტრის სამსახურის შესახებ. მათგან 53%-ს უსარგებლია საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლის კონსულტაციით უშუალოდ პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესურს-ცენტრის თანამშრომლის მიერ გაწეული კონსულტაციით კმაყოფილია ამ სეგმენტის დიდი ნაწილი (92%). (იხ. გრაფიკი 19, 20, 21)


გრაფიკი 19. რესურს-ცენტრის სამსახურის ცნობადობა (N=96)



გრაფიკი 20. რესურს-ცენტრის სამსახურის მომსახურებით სარგებლობის გამოცდილება (N=57)




გრაფიკი 21. რესურს-ცენტრის სამსახურის მომსახურებით კმაყოფილება (N=30)




კვლევის შედეგებიდან ასევე ირკვევა, რომ სტუდენტების 67%-ს სმენია სექტორული ასოციაციის (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის) შესახებ. მათგან 30%-ს უსარგებლია ასოციაციის თანამშრომლის კონსულტაციით უშუალოდ პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ასოციაციის თანამშრომლის მიერ გაწეული კონსულტაციით კმაყოფილია ყველა სტუდენტი (100%). (იხ. გრაფიკი 22, 23, 24)


გრაფიკი 22. სექტორული ასოციაციის (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის) ცნობადობა (N=96)



გრაფიკი 23. სექტორული ასოციაციის (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის) მომსახურებით სარგებლობის გამოცდილება (N=64)




გრაფიკი 24. სექტორული ასოციაციის (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის) მომსახურებით კმაყოფილება (N=20)




კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ უმუალოდ პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელს კონსულტაცია გაუწევია სტუდენტების 34%-

ისტვის. ამ სეგმენტში, სტუდენტების უმრავლესობა (97%) კმაყოფილია წარმომადგენლის მიერ გაწეული კონსულტაციით. (იხ. გრაფიკი 25, 26)

გრაფიკი 25. პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლისგან კონსულტაციის მიღების გამოცდილება (N=96)




გრაფიკი 26. პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლის კონსულტაციით კმაყოფილება (N=33)




კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლების მხრიდან კონსულტაცია მიუღია სტუდენტების მხოლოდ 44%-ს. მათ შორის სტუდენტების 97% კმაყოფილია მიღებული კონსულტაციით. (იხ. გრაფიკი 27, 28)

გრაფიკი 27. კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული კონსულტაციის მიღების გამოცდილება (N=96)



გრაფიკი 28. კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული კონსულტაციით კმაყოფილება (N=43)



3.9 არსებული გამოწვევები და რეკომენდაციები

კვლევის მონაწილე პროფესიული სტუდენტები აფიქსირებდნენ იმ სასურველ ცვლილებებს, რომელთა განხორციელება, მათი აზრით, პოზიტიურად აისახება სწავლის პროცესზე და შესაბამისად, მათ კმაყოფილებაზე.

კვლევის მონაწილე პროფესიული სტუდენტები პასუხობდნენ სამ ძირითად შეკითხვას:

- რა არის ძირითადი პრობლემა და ხარვეზი, რომლის გამოსწორებას ისურვებდით?
- რას შეცვლიდით თქვენს პროფესიულ სასწავლებელში?
- რა დამატებითი აქტივობები შეიძლება იყოს საინტერესო თქვენთვის?

3.9.1 ძირითადი პრობლემები და ხარვეზები პროფესიულ სასწავლებლებში

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 40%-მა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება პროფესიულ სასწავლებელში არსებულ პრობლემებთან და ხარვეზებთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 17% მიიჩნევს, რომ სასწავლებელში პრობლემა არ არსებობს, 43% კი არ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას.

გამოკითხულ სტუდენტთა ნაწილის სურვილია არსებული, მოძველებული კომპიუტერული ტექნიკის, აგრარული ინვენტარის, ტრაქტორების და სხვა პროფესიული განათლების მისაღებად საჭირო აღჭურვილობის თანამედროვე საშუალებებით ჩანაცვლება (ჯამური მაჩვენებელი - 15%).

კვლევის მონაწილე პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის, კვლევის მონაცემების თანახმად, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ტექნიკურ აღჭურვილობასთან და სასწავლო ინვენტართან დაკავშირებული ხარვეზები. რესპონდენტების ნაწილის მოსაზრებით, პრაქტიკული სამუშაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია პროფესიისათვის შესაბამისი ინვენტარის (მაგ, აგრარული დანადგარები, იარაღები და ა.შ.) ასევე სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე არსებობა სასწავლებელში (ჯამური მაჩვენებელი - 13%).

სტუდენტთა მოსაზრებით, ერთ-ერთ პრობლემასა და ხარვეზს წარმოადგენს პროფესიული სასწავლებლების პასიური როლი სტუდენტების დასაქმებაში და საერთაშორისო სასწავლებლებთან გაცვლითი პროგრამების არ არსებობა აგრარულ სექტორში (ჯამური მაჩვენებელი - 45%).

კვლევის მონაწილეთა ნაწილის მიერ, ასევე დასახელდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკული მეცადინეობების არასაკმარისი რაოდენობა (ჯამური მაჩვენებელი - 20%)

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, სტუდენტებისთვის ერთ-ერთ დასახელებულ პრობლემას წარმოადგენს კვების ობიექტების არ არსებობა პროფესიული სასწავლებლების ტერიტორიაზე. პროფესიულ სასწავლებლებში სასადილოს გახსნის სურვილი გამოთქვა კვლევის მონაწილეთა დაახლოებით 7%-მა.

3.9.2 სასურველი ცვლილებები

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 26%-მა გამოთქვა მოსაზრება სასურველ ცვლილებებთან დაკავშირებით. რესპონდენტთა 14% მიიჩნევს, რომ სასწავლებლებში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და რაიმეს შეცვლის აუცილებლობა ამ ეტაპისთვის არ არსებობს, ხოლო 60% არ აფიქსირებს პასუხს შეკითხვაზე.

პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობიდან, ვინც ისურვა გარკვეული ცვლილება, უმეტესმა ნაწილმა მათ სასწავლო პროცესში **მეტი პრაქტიკული სამუშაოების** დამატების სურვილი გამოთქვა (ჯამური მაჩვენებელი - 52%).

კვლევის მონაწილე სტუდენტებისთვის სასურველი ცვლილებების ჩამონათვალში ასევე მოხვდა სასწავლებლების აღჭურვა **ახალი, თანამედროვე ტექნიკით მათ შორის სპორტული ინვენტარი** (ჯამური მაჩვენებელი - 35%) რაც, ბუნებრივია, მათ პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს. სტუდენტთა 13% **ინგლისური ენის გაუმჯობესება და სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე არსებობა** ისურვა.

3.9.3 დამატებითი აქტივობები

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, გამოკითხული სტუდენტების 14%-მა გამოთქვა მოსაზრება სასურველ დამატებით აქტივობებთან დაკავშირებით. რესპონდენტთა ნაწილი (6%) მიიჩნევს, რომ სასწავლებელში არსებული დამატებითი აქტივობები დამაკმაყოფილებელია და არ არის საჭირო რაიმე ახლის ინიცირება. გამოკითხულთა 80% არ აფიქსირებს მოსაზრებას დამატებით აქტივობებთან დაკავშირებით.

კვლევის მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა ინტერესს იჩენს ისეთი დამატებითი აქტივობების მიმართ, როგორცაა **კონფერენციები, ოლიმპიადები, პრეზენტაციები, სემინარები, დებატები, ინტელექტუალური აქტივობები, შემეცნებითი ღონისძიებები** და ა.შ. სწორედ აღნიშნული აქტივობებია 96 გამოკუთხული რესპონდენტის თითქმის 10%-თვის სასურველი და საინტერესო.

გამოკითხული სტუდენტების 7%-თვის შემეცნებითთან ერთად, ინტერესის სფეროს წარმოადგენს **გასართობი ღონისძიებები**.

რესპონდენტების ნაწილი დაინტერესებულია **გაცვლითი პროგრამებით** როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრებს გარეთ (ჯამური მაჩვენებელი - 12%). კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ გაცვლითი პროგრამების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ მეხილეობისა და მეფუტკრეობის პროგრამებზე.